

# საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციისა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ერთობლივი სასერტიფიკატო პროგრამა

სასერტიფიკატო პროგრამის სახელწოდება: საერთაშორისო საავტორო სამართალი

პროგრამის ხელმძღვანელი: პროფ. თამარ ტალიაშვილი

კრედიტების ოდენობა: 24 სასწავლო კრედიტი.

პროგრამის რეალიზაციის მიზანი და აღწერილობა:

თანამედროვე კომერციული საქმიანობა, საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობები და არა მხოლოდ შემოქმედებითი პროცესი მჭიდრო კავშირშია საავტორო სამართლის ინსტიტუტებთან. საავტორო სამართლის, როგორც ვინაა სპეციალიზაციის გაზრდილი აქტუალობიდან გამომდინარე, საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაცია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტთან ერთად, ჩიკაგო-კენტის სამართლის კოლეჯთან (აშშ) და კალაბრიას რეგიონის მედიტერანულ უნივერსიტეტთან (იტალია) პარტნიორობის საფუძველზე დაინტერესებულ პირებს სთავაზობს სასერტიფიკატო პროგრამას „საერთაშორისო საავტორო სამართალი“.

პროგრამის მიზანია საავტორო და მომიჯნავე უფლებების სამართლებრივი რეგულირების ქართული, ევროკავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების სამართლებრივი სისტემების და საავტორო უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მართვის პრინციპების კომპლექსური ცოდნის მიწოდება, ასევე საავტორო სამართლის სფეროში სპეციალისტების მომზადება. პროგრამა მოიცავს სამართლის კლინიკური სწავლების ელემენტებს ასოციაციის პრაქტიკის გამოყენების საფუძველზე. პროგრამას განახორციელებენ როგორც ქართველი, ასევე მსოფლიოში აღიარებული, წამყვან ათეულში შემავალი ექსპერტები, კალაბრიას უნივერსიტეტის პროფესორი ფილიპ ლორენცო ფაბიო და ჩიკაგოს უნივერსიტეტის პროფესორი უილიამ ჰენრი, რომელთა შეხედულებების გათვალისწინებითაც მნიშვნელოვანწილად იქმნება საერთაშორისო პოლიტიკა ამ სფეროში. შესაბამისად ლექციების ნაწილი ინგლისურ ენაზე წარიმართება. სასერტიფიკატო პროგრამის ფარგლებში პირველად ხდება ქართველი და უცხოელი პროფესორების ძალისხმევით შერწყმა.

პროგრამა მოიცავს ისეთი აქტუალური თემების შესწავლას, როგორცაა:

- ახალი ტექნოლოგიები და გამოწვევები საავტორო სამართალში
- საავტორო უფლების ობიექტის სამართლებრივი დაცვის მექანიზმები
- ავტორის უფლებრივი სტატუსი
- ავტორის უფლებრივი შეზღუდვის სამართლებრივი საფუძვლები
- ავტორის ქონებრივი უფლებების დაცვის თავისებურებები
- ავტორის არაქონებრივი უფლებების დაცვის თავისებურებები
- საავტორო უფლებები ინტერნეტ სივრცეში
- საავტორო უფლებები მასმედიაში და მაუნყებლობის ორგანიზაციათა უფლებების სამართლებრივი რეგულირების საკითხები
- დიზაინის, როგორც საავტორო უფლების ობიექტის სამართლებრივი დაცვის სპეციფიკა
- ფოლკლორის, როგორც საავტორო უფლების ობიექტის სამართლებრივი დაცვის საფუძვლები
- შემსრულებლის უფლებათა სამართლებრივი რეგულირება
- აუდიოგრამისა და ვიდეოგრამის დამამზადებლების უფლებათა სამართლებრივი რეგულირება
- საავტორო და მომიჯნავე უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მართვის პრინციპები
- საავტორო და მომიჯნავე უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მართველი ორგანიზაციის ფუნქციები

- საავტორო და მომიჯნავე უფლებების დარღვევის პრევენციული ღონისძიებები
- საავტორო და მომიჯნავე უფლებების დარღვევის სამართლებრივი შედეგები და პასუხისმგებლობა
- საავტორო სამართლებრივი ურთიერთობების რეგულირებაში საერთაშორისო ორგანიზაციების როლი
- საერთაშორისო საავტორო სამართლებრივი ხელშეკრულებები
- საერთაშორისო საავტორო სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტის სამართლებრივი დაცვის მექანიზმები
- საავტორო სამართლის ძირითადი დოქტრინები (Common Law)
- აშშ-ს საავტორო სამართლებრივი აქტები
- საავტორო უფლებები და აშშ-ს Free Trade Agreement-ი
- ავტორის ქონებრივი და არაქონებრივი (პირადი) უფლებების სამართლებრივი დაცვა აშშ-ში
- საავტორო ნაწარმოების კონკურენციის სამართლის ნორმებით დაცვა აშშ-ში
- საავტორო სამართლის ჰარმონიზაცია ევროპაში
- საავტორო მონოპოლიისა და ევროპის ერთიანი ბაზრის პრინციპები
- საავტორო უფლებების ევროსაბჭოს სამართლებრივი აქტებით დაცვის საფუძვლები

პროგრამა გათვალისწინებულია სამართლის ბაკალავრის ხარისხის მქონე ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის, (როგორც სტუდენტი, ასევე პრაქტიკოსი იურისტი) რომელიც სათანადო დონეზე ფლობს ინგლისურ ენას. სასერტიფიკატო პროგრამა შეიძლება შეთავაზებულ იქნას სამაგისტრო პროგრამათა არჩევით მოდულად მთლიანად (როგორც საჯარო, ისე კერძო სამართლის მიმართულებით). თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის მაგისტრანტ სტუდენტებს შესაძლებლობა მიეცემათ სასერტიფიკატო პროგრამიდან შეარჩიონ მათთვის საინტერესო სასწავლო კურსები და მიიღონ შესაბამისი რაოდენობის კრედიტები, რა შემთხვევაშიც სერტიფიკატი არ გაიცემა.

შეფასების სისტემა: ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დადგენილი ფორმით.

პროგრამის დაწყების თარიღი: 3 ნოემბერი, 2012 წელი

პროგრამის რეალიზაციის ვადა: ერთი სემესტრი (15 კვირა)

კრედიტების განაწილება და სასწავლო კურსები:

№	დისციპლინის დასახელება	კრედიტის ოდენობა	აქტიური საათები	ლექტორები
1.	საერთაშორისო და ევროპის საავტორო სამართალი	8	3	Prof. Phillip L. Fabbio
2.	საავტორო სამართალი საერთო სამართლის ქვეყნებში	6	3	Prof. William M. Hannay
3.	გაღრმავება საქართველოს საავტორო სამართალში	5	2	პროფესორი ალექსანდრე ჯორბენაძე
4.	საავტორო სამართლის პრაქტიკა	5	2	პროფესორი თამარ ტალიაშვილი

პროგრამის დაძლევის შედეგი: გაიცემა სპეციალური კვალიფიკაციის დამადასტურებელი სერტიფიკატი